



**დამტკიცებულია საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა
ინსტიტუტის რექტორატის სხდომის ოქმი # 26-ს თანახმად (09.09.2009)**

დანართი #20

რეგულაცია არჩევით საგნებთან მიმართებაში

1. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის არსებული სწავლების პრინციპები და მეთოდოლოგია კონკურენტულ გარემოს ქმნის, რაც მიზნად ისახავს სტუდენტთა სათანადო მომზადებას მომავალი წარმატებული კარიერისათვის. ამ მიზნით, ინსტიტუტში მოქმედებს თავისუფალი არჩევითი საგნების სისტემა და კონცენტრაციის მიმართულებები, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს აქტიური მონაწილეობა მიიღონ სასწავლო პროცესის დაგეგმვაში.
2. GIPA-ს თითოეული პროგრამა განსაზღვრავს იმ ძირითად საგნებს, რომელიც სავალდებულოა მოცემული პროგრამის სტუდენტებისათვის. გარდა ამ საგნებისა, თითოეული პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს არჩევით საგნებს, რომელიც ხელმისაწვდომია სხვა პროგრამის სტუდენტებისათვის. თითოეულ არჩევით საგანზე პროგრამა ადგენს შესაბამის ქვოტას სხვა პროგრამის სტუდენტებისათვის. ქვოტის შევსების წესი განისაზღვრება შესაბამისი პროცედურით.
3. საკუთარი პროგრამის კოორდინატორის თანხმობით სტუდენტს შეუძლია უარი თქვას მისი პროგრამის მიერ შემოთავაზებულ არჩევით საგანზე და ითხოვოს სხვა პროგრამაზე არსებული არჩევითი საგნით მისი ჩანაცვლება. სტუდენტმა უნდა გაითვალისწინოს ის შედეგები რასაც ეს ცვლილებები მის მიერ დაგროვილ კრედიტების რაოდენობაში გამოიწვევს.
4. პროცედურა:

4.1 სემესტრის დაწყებამდე 10 დღით ადრე ინსტიტუტის ვებსაიტზე დაიდება არჩევითი საგნების ჩამონათვალი, ამ საგნების უნიკალური კოდი, შესაბამისი ლექტორის სახელი და გვარი, პროგრამის დასახელება, მოცემული საგნის შესაბამისი კრედიტების რაოდენობა და ქვოტა.

4.2 სტუდენტს საშუალება ექნება გაეცნოს მოცემული საგნების სილაბუსებს, რაც მას დაეხმარება სემესტრის დაწყების შემდეგ არჩევანის გაკეთებაში.

4.3 საკუთარი პროგრამის კოორდინატორისაგან წინასწარი თანხმობის მიღების შემდეგ სტუდენტი ელექტრონული ფოსტის საშუალებით მიმართავს იმ პროგრამის ადმინისტრაციას, რომლის ფარგლებშიც იკითხება სტუდენტისათვის საინტერესო არჩევითი საგანი. აღნიშნული პროგრამის ადმინისტრაცია განიხილავს სტუდენტის მოკლე სამოტივაციო დასაბუთებას და 2 დღის ვადაში აცნობებს სტუდენტს გადაწყვეტილების შესახებ.

4.4 არჩევით საგნებში მიღებული შეფასებების მნიშვნელობა იდენტურია მიუხედავად პროგრამისა. შესაბამისად, სტუდენტის აკადემიურ მოსწრებაზე ამ საგნებში მიღებულ შეფასებებს აქვთ იდენტური გავლენა.

5. დამატებითი ფინანსური ვალდებულებები:

5.1 სხვა პროგრამიდან არჩევითი საგნის აღებისას სტუდენტი იხდის დამატებით გადასახადს მხოლოდ ერთ შემთხვევაში: თუ სტუდენტის მიერ დაგროვილი კრედიტის რაოდენობა აღემატება 120 და, ამავდროულად, სტუდენტის მიერ ორი წლის განმავლობაში აღებული საგნების რაოდენობა აღემატება საგნების იმ რაოდენობას, რომელიც სტუდენტს უნდა გაეწოდოს საკუთარი პროგრამის ფარგლებში.

5.2 ასეთ შემთხვევაში სტუდენტი იხდის ზედმეტი საგნების საფასურს რიგითობის მიხედვით. საფასური განისაზღვრება მოცემული პროგრამის ადმინისტრაციის მიერ.

